



*მოდიფიცირებულია და განხილულია ჯანდაცვის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე*

დამტკიცებულია:

*თჰუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 ნოემბრის
N6/2013 გადაწყვეტილებით*

თჰუ რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N108/07 ბრძანებით

თჰუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 მაისის N/2018 გადაწყვეტილებით,

თჰუ რექტორის 2018 წლის 7 მაისის N92/01 ბრძანებით.

თჰუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 მაისის N/2018 გადაწყვეტილებით,

თჰუ რექტორის 2018 წლის 7 მაისის N92/01 ბრძანებით.

თჰუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის N 01/2019 გადაწყვეტილებით

თჰუ რექტორის 2019 წლის 18 იანვრის N16/07 ბრძანებით

თჰუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 სექტემბრის N 10/2020 გადაწყვეტილებით

თჰუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 03.09 N 13 გადაწყვეტილებით

თჰუ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 ივნისი №8 გადაწყვეტილებით

ჯანდაცვის ფაკულტეტი

პროგრამის სახელწოდება - სტომატოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული სტომატოლოგი /Doctor of Dental Medicine/

მიმართულება: ფართო სფერო - 09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა; ვიწრო სფერო - 091 ჯანდაცვა; დეტალური სფერო - 0911 დენტალური მედიცინა / 0911.1.1 სტომატოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით და საათებით - 300 კრედიტი (7500 სთ.).

ერთი კრედიტი - 25 საათია, ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა, სემესტრის მანძილზე სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს

სწავლების ენა - ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი: მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო აბაიშვილი

1. სფეროს აღწერა

საქართველოს კანონით "საექიმო საქმიანობის შესახებ" საექიმო საქმიანობა არის: „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“. წარმოადგენს რა წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, დიპლომირებული სამედიცინო განათლების ხარისხი, მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან (მათ შორის სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებთან) მეტად აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. სამედიცინო საქმეში აუცილებელია არა მარტო თეორიული ცოდნის მიღება, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების/დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

პირის ღრუს დაავადებების მკურნალობა კვლავ რჩება ადამიანის ჯანმრთელობის აქტუალურ საკითხად. დღეისათვის სტომატოლოგიური დაავადებების ეტიოპათოგენეზის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხების მეცნიერული განხილვა ეყრდნობა პირის ღრუს ორგანოებისა და მთლიანად ორგანიზმის ურთიერთკავშირის მექანიზმების შესწავლას ნორმასა და პათოლოგიაში. პროგრამაში ჩართულია ბაზისური და კლინიკური კურსები, რომელიც დაეხმარება კურსდამთავრებულს განიხილოს ადამიანის ორგანიზმი როგორც ერთიანი სისტემა სტომატოლოგიურ პათოლოგიებთან კონტექსტში.

ამასთან ერთად, სტომატოლოგია, როგორც მედიცინის სხვა დარგები, მუდმივ განვითარებას განიცდის: იქმნება ახალი ტექნიკური საშუალებები, ხდება ახალი მკურნალობის მეთოდების შემუშავება. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, სტომატოლოგიის სხვადასხვა დარგმა მიიღო ესთეტიკური დატვირთვაც, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ამ ქვედარგის სპეციალისტებზე მოთხოვნა.

სტომატოლოგია წარმოადგენს ფართო დარგს, რომელიც შედგება დამოუკიდებელი დისციპლინებისაგან, თითოეული მათგანი ინტენსიურად ვითარდება. მუდმივად იქმნება ახალი სამკურნალო ტექნოლოგიები და დიაგნოსტიკის მეთოდები. შესაბამისად, ექიმი-სტომატოლოგი უნდა იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, უნდა ფლობდეს მაღალ დონეზე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული რომელსაც შესწავლილი ექნება საბაზისო ბიოსამედიცინო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებები, სტომატოლოგიური დისციპლინები, კლინიკურ უნარები, ასევე კვლევითი სასწავლო კურსები და ა.შ.

პროგრამა შესაბამისობაშია როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარების, გადახედვისა და განახლების პროცედურების მიხედვით. პროგრამა გადაიხედა და შესაბამისობაში მოვიდა ახალ დარგობრივ სტანდარტთან სტომატოლოგიაში. პროგრამა ასევე ეყრდნობა უახლესი ბაზრის კვლევას შესაბამის დარგში. პროგრამის გადახედვა/განახლებაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები, კლინიკის წარმომადგენლები, განმახორციელებელი პერსონალი, კურსდამთავრებულები, სტუდენტები).

პროგრამა შემუშავებულია ერვოპული კრედიტ სისტემის მიხედვით. მოიცავს 300 ECTS კრედიტს, სწავლების 5 წელს, 10 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ/აკადემიურ საათს, მოიცავს საკონტაქტო საათებს და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით სემესტრულად განსაზღვრულია 30-30 კრედიტის მოპოვება.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა არის თანმიმდევრული. სასწავლო კურსების წინაპირობები არის ლოგიკური და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას. პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებსა და ნორმებს.

პროგრამას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სიმულაციური კაბინეტები აღჭურვილი თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით, მულაჟებით, მანეკენებითა და ფანტომებით. უნივერსიტეტს ასევე გააჩნია საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებს ყველა ძირითადი ლიტერატურის სასწავლო სახელმძღვანელოებით და ასევე დამატებითი რესურსებით. სტუდენტებს აქვთ ბიბლიოთეკაში საერთაშორისო ბაზებთან წვდომის საშუალება.

პროგრამა ითვალისწინებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს. ლექციები ინტერაქტიულია, სწავლების მეთოდებიდან გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკური კორელაციები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), კლინიკური/პრაქტიკული უნარების გამომუშავება სიმულაციურ ლაბორატორიაში და უშუალოდ პაციენტთან. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე (OSCE) სტუდენტების კლინიკური და პროფესიული უნარების შეფასებას. სტუდენტების ცოდნა ასევე მოწმდება წერიითი შეფასებით, რომელიც მოიცავს როგორც კითხვებს მრავლობითი პასუხებით (MCQs), ასევე ღია კითხვებს.

სტომატოლოგიის პროგრამა შედგენილია ისეთი თანმიმდევრობით, რომ სტუდენტები თანმიმდევრულად სწავლობენ ბიოსამედიცინო (ბიოლოგია, ანატომია, ბიოქიმიას, იმუნოლოგიას, ბიოფიზიკას, ციტოლოგიას, ჰისტოლოგიას და ემბრიოლოგიას, და სხვ.), პრეკლინიკურ სასწავლო კურსებს (მიკრობიოლოგია, პათოლოგია, ფარმაკოლოგია, შინაგანი დაავადებების პროპედევტიკა) და კლინიკურ სასწავლო კურსებს (შინაგანი დაავადებები, ქირურგია, კლინიკური იმუნოლოგია და ალერგოლოგია, დერმატოლოგია, ინფექციური დაავადებები, პედიატრია ნევროლოგია და ა.შ.). ამ საგნების სწავლისას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება სტომატოლოგიის სფეროსთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებსაც.

სტუდენტები სპეციალობას ეცნობიან შესავალი კურსებით უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიებსა და კლინიკებში და იძენენ პრაქტიკულ უნარებს. შემდგომი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სპეციალიზებულ კლინიკებში, თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიაში და სხვ. აღსანიშნავია, რომ სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა კლინიკურ პრაქტიკას, რომელიც ხორციელდება სრულად სტომატოლოგიურ კლინიკაში და სტუდენტები მანიპულაციებს ასრულებენ უშუალოდ პაციენტებზე, ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ. ეს ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებასა და სხვადასხვა გარემოსთან ადაპტირებაში.

სასწავლო პროგრამა დაფუძნებულია ადამიანის ორგანიზმის აგებულების, მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების, დაავადებათა (სტომატოლოგიური და არასტომატოლოგიური) ეტიოლოგიისა და პათოგენეზის პათ. მორფოლოგიის კლინიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხების შესწავლაზე, რაც მოიცავს:

- ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურასა და განვითარებას ნორმის ფარგლებში (ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქცია, სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია);
- ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მექანიზმებს (ბიოფიზიკა, ფიზიოლოგია, ბიოქიმია);
- დაავადების განვითარების მექანიზმებს და დიაგნოსტიკის მეთოდებს (პათოლოგია, მიკრობიოლოგია, პარაზიტოლოგია, შინაგანი დაავადებათა პროპედევტიკა);

• დაავადებათა კლინიკური გამოვლენის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის პრინციპებს. (ქირურგიული დაავადებები, შინაგანი დაავადებები; პედიატრია; ინფექციური დაავადებები; დერმატოვენეროლოგია; ფსიქიატრია და სამედიცინო ფსიქოლოგია; კლინიკური იმუნოლოგია და ალერგოლოგია; ოფთალმოლოგია; ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები; ნერვული დაავადებები და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მედიცინის სფეროს სხვადასხვა დარგის დაავადებებს, რომლებიც შეიძლება მომავალ სპეციალისტს შეხვდეს სტომატოლოგიურ პრაქტიკაში.

ბიოსამედიცინო სასწავლო კურსის ფარგლებში ადამიანის სტრუქტურა და ფუნქცია I და II ინტეგრირებულია ანატომია და ფიზიოლოგია, ორგანიზმის სტრუქტურის შესწავლა ხდება მისი ფუნქციური მექანიზმების პარალელურად. ჰორიზონტალური ინტეგრაცია საშუალებას იძლევა სტუდენტმა ადამიანის სხეული აღიქვას ერთიანი სისტემის ფარგლებში. ბიოსამედიცინო კურსის ფარგლებში ასევე გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური კორელაციები, რომლის ფარგლებშიც ხდება კლინიკური ქეისების განხილვა, რაც ხელს უწყობს ვერტიკალურ ინტეგრაციას და სტუდენტის კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებლად ინფორმაციის მიძიების უნარების გამომუშავებას.

სპეციალობის სავალდებულო დისციპლინათა შორის არის: სტომატოლოგიურ დაავადებათა პროპედევტიკა, ოპერაციული ოდონტოლოგია, კბილთა მწკრივის რესტავრაცია; სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები; ზავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია; პირის ღრუს ქირურგია; ყბა-სახის ქირურგია; ზავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია; პირის ღრუს, თავისა და კისრის რადიოლოგია; იმპლანტოლოგიის საფუძვლები; ყბა-სახის მიდამოს ონკოლოგია და აღდგენითი ოპერაციები; ორთოდონტია და ზავშვთა პროტეზირება; ორთოპედიული სტომატოლოგიის სრული კურსი, გერიატრიული სტომატოლოგია.

2. პროგრამის მიზანი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალი, ჰუმანური, პასუხისმგებელი, საქართველოსა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკრენტუნარიანი დიპლომირებული სტომატოლოგი, რომელიც მზად არის შემდგომი განათლებისა და პროფესიული განვითარებისათვის.

შესაბამისად, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს მისცეს:

- ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების ცოდნის საფუძველზე სტომატოლოგიური პრობლემების განიხილის უნარი მთლიანი ორგანიზმის პათოგენეზურ კომპლექსში.
- მტკიცებითი სტომატოლოგიის პრინციპების გამოყენებით კლინიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარი.
- სტომატოლოგიის სფეროში საქმიანობის წარმართვის უნარი პროფესიული და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით.

- უწყვეტი სტომატოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერების უნარი.

3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოპოვებული აქვს სწავლის უფლება.

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება აბიტურიენტის არჩევით: ბიოლოგია ან/და ქიმია.

დ) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის, დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

4. პროგრამის სწავლის შედეგები (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები)

დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება უზრუნველყოფს რიგი კომპეტენციების ფორმირებას:

აკადემიური კომპეტენციები, რომელიც მოიცავს თეორიული და კლინიკური დისციპლინების ცოდნასა და სწავლის უნარს;

სოციალურ-პიროვნული კომპეტენციები, რომელიც მოიცავს პროფესიულ ღირებულებებზე ორიენტაციას, დეონტოლოგიის ნორმების ცოდნასა და დაცვას;

პროფესიული კომპეტენციები, რომელიც მოიცავს დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ღონისძიებათა განსახორციელებლად აუცილებელი ცოდნისა და უნარების ერთობლიობას პროფესიულ საქმიანობაში;

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის თანახმად, დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, პროგრამის მიზნებიდან და უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს მიღწეული ექნება მაგისტრის შესაბამისი საფეხურის დონე, რაც დაჯგუფებულია კომპეტენციების სამ სფეროში:

ცოდნა :

1. კრიტიკულად იაზრებს და ლოგიკურად აყალიბებს ორგანიზმის სტრუქტურული ფუნქციების თავისებურებებს როგორც უჯრედულ, ასევე მთლიანი სისტემის დონეზე ნორმასა და პათოლოგიური მდგომარეობების დროს.
2. აღწერს სტომატოლოგიურ დაავადებებს, სტომატოლოგიურ პათოლოგიებთან დაკავშირებულ სომატურ დაავადებებს, მათ ეტიოლოგიას, პათოგენეზს, კლინიკას, მკურნალობის თანამედროვე მიდგომებს, გარემო ფაქტორების, მავნე ჩვევების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ფსიქოლოგიური და ქცევითი ფაქტორების გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და დაავადების პროგნოზს.
3. აღწერს სხვადასხვა სომატური, სტომატოლოგიური და მეტაბოლური პათოლოგიური მდგომარეობებისა და დაავადებების დროს სამკურნალო საშუალებების მოქმედების მექანიზმებს, გადაუდებელი მდგომარეობების მკურნალობისა და მართვის პრინციპებს.
4. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს, კვლევის მეთოდებს ჯანდაცვის სფეროში, ჯანდაცვის სფეროს რეგულირების თავისებურებებსა და გამოწვევებს.

უნარები:

5. ატარებს პაციენტის კონსულტაციას ანამნეზის, კლინიკური მიმდინარეობის, თანმხლები სომატური დაავადებების ანალიზის საფუძველზე და საზღვრავს დიაგნოზს, მკურნალობის მეთოდს, დაავადების პროგნოზს მტკიცებითი სტომატოლოგიის გამოყენებით პაციენტის ასაკობრივი, ფსიქოლოგიური თავისებურებების, სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით.
6. ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტთან, თანმხლებ პირებთან, კოლეგებთან ვერბალური და არავერბალური ფორმით, ეთიკური პრინციპების გამოყენებით.
7. კრიტიკულად აანალიზებს წყაროებში, ინფორმაციულ სისტემებში, ელექტრონულ ბაზებში დამოუკიდებლად მოპოვებულ სარწმუნო კომპლექსურ ინფორმაციას, ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს, წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებს, პრევენციულ ღონისძიებებს აკადემიურ და პროფესიულ წრეებში.
8. იყენებს სტომატოლოგიის სფეროს უახლეს ტექნოლოგიებსა და მიღწევებს, მკურნალობის თანამედროვე მიდგომებს, გაიდლაინებს რთული სტომატოლოგიური კლინიკური შემთხვევების კომპლექსური მკურნალობის პროცესში თავისი და პაციენტის უსაფრთხოების გათვალისწინებით.

9. მართავს პაციენტებს პირველადი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი, მათ შორის სტომატოლოგიის სფეროსთან კორელაციაში არსებული მდგომარეობების დროს.

10. იყენებს დარგობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს, ჯანდაცვის სფეროსა და პროფესიულ საქმიანობის რეგულაციებს, გარემო ფაქტორების შეფასების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

11. საზღვრავს თავისი შესაძლებლობების ფარგლებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს დარგის სხვა სპეციალისტებს ავლენს მზაობას პროფესიული სრულყოფისთვის

12. აკეთებს ადაპტაციას ახალ და რთულ გარემოში, რაციონალური გადაწყვეტილებებისა და უახლესი მიდგომების საფუძველზე ახორციელებს ხარისხიან მომსახურებას.

5. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამა ითვალისწინებს ბიოსამედიცინო კურსების შესწავლას პირველი სამი სემესტრის განმავლობაში, რომელიც უზრუნველყოფს ნორმაში ორგანიზმის სტრუქტურის, ფიზიოლოგიური და მეტაბოლური თავისებურებების ხედვის გამომუშავებას. შემდგომი ორი სემესტრის განმავლობაში ისინი შეისწავლინ პრეკლინიკურ სასწავლო კურსებს: შინაგანი დაავადებათა პროპედევტიკა, პათოლოგია, მიკრობიოლოგია, ფარმაკოლოგია, შესავალი რადიოლოგიაში და ა.შ., რომელის საშუალებითაც ისინი აცნობიერებენ პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობას როგორც ორგანიზმის, ასევე უჯრედულ დონეზე. აღნიშნულის შემდეგ მეექვსე სემესტრიდან სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს თერაპიულ და ქირურგიულ კლინიკურ სასწავლო კურსებს: შინაგანი დაავადებები, ენდოკრინოლოგია, პედიატრია ნევრული დაავადებები, პედიატრია, კლინიკური იმუნოლოგია და ლაერგოლოგია და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ დაავადებებს, რომლებიც დაკავშირებულია/ხშირად იკვეთება სტომატოლოგიურ დაავადებებთან, გადაუდებელი მდგომარეობის მართვას, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სტომატოლოგიურ პრაქტიკაში.

სტუდენტები ასევე სწავლობენ გადაუდებელი დახმარების მეთოდებს, რომელიც ტარდება სიმულაციურ ლაბორატორიაში. უნარების გამომუშავება ხდება მანეკენებზე და სიმულატორებზე.

სასწავლო პროგრამა ასევე მოიცავს ჯანდაცვის სფეროს თემატიკას, კერძოდ გარემო ფაქტორების ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე (გარემო და ჯანმრთელობა), ჯანდაცვის სისტემებსა და მისი მენეჯმენტის თავისებურებებს.

დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის მფლობელისთვის და ზოგადად, ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტისთვის ასევე აუცილებელია კვლევითი უნარების გამომუშავება. პროგრამაში გათვალისწინებულია სამი სასწავლო კურსი: კვლევის მეთოდები (მეცნიერული კვლევის საფუძვლები და ნაშრომის შემუშავების მეთოდები, კვლევის ბიოსტატისტიკური მეთოდები და ა.შ.), ეპიდემიოლოგია (კვლევის მეთოდები, მახასიათებლები, დაავადებების პროფილაქტიკა, პრევენცია,

სკრინინგი და ა.შ.) და მტკიცებითი სტომატოლოგია (სტუდენტები ეცნობიან მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოძიების საშუალებებს და პრიორიტეტებს მათ ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოსაყენებლად).

სტუდენტები ასევე სწავლობენ აკადემიური წერის პრინციპებს, რომელიც მათ გამოუმუშავებთ ლოგიკურად სტრუქტურირებული წერილობითი ტექსტების შემუშავების უნარებს.

პროგრამა მოიცავს არჩევით სასწავლო კურსებსაც. სტუდენტებს აქვთ საშუალება აირჩიონ სასწავლო კურსები მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან: სოციალური, სამედიცინო, ჯადაცვა და ა.შ.

სტომატოლოგიის პროგრამის შედეგების მიღწევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სტომატოლოგიური სასწავლო კურსები. სწავლება იწყება კურსით „შესავალი სტომატოლოგიაში“, რომელიც პირველი კურსის სტუდენტს აცნობს თავის მომავალ პროფესიას, სტომატოლოგიის მნიშვნელობას და როლს საზოგადოების კეთილდღეობისთვის, უწყვეტი სტომატოლოგიური განათლების პრიორიტეტებს, სტომატოლოგიური ასოციაციების როლს დარგის განვითარებაში და ა.შ. სტომატოლოგიური სასწავლო კურსები მოიცავს სტომატოლოგიის ყველა მიმართულებას: თერაპიული, ორთოპედიული, ქირურგიული, ბავშვთა ასაკის სტომატოლოგია და ორთოდონტა.

სწავლების პროცესში, გარდა თეორიული სწავლებისა, დიდი ყურადღება ენიჭება პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია. უნივერსიტეტის საფანტომო სივრცეები, სადაც სტუდენტს შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა მანიპულაცია შესრულოს ფანტომზე, აღჭურვილია თანამედროვე ფანტომებით და უზრუნველყოფილია შესაბამისი მასალებით. პრაქტიკული უნარების გამომუშავების შემდეგ, სტუდენტები მანიპულაციებს ასრულებენ პაციენტებზე ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ. უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც სრულად აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა სტომატოლოგიურ კლინიკებთან. აღნიშნულ ბაზებზე სტუდენტები ატარებენ პაციენტების კონტულტაციას, ანამნეზის შეკრებას, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას და დარგობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მანიპულაციების ჩატარებას უშუალოდ პაციენტებზე. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების მეათე სემესტრი სრულად ეთმობა სტომატოლოგიურ კლინიკურ პრაქტიკას. გარდა მანუალური ჩვევებისა, კლინიკურ გარემოში სწავლება ხელს უწყობს სტუდენტის ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარის გამომუშავებას.

სტომატოლოგიის სასწავლო კურსები ითვალისწინებს დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის თანამედროვე მიდგომებს, უახლეს გაიდლაინებს. გამოყოფილია სასწავლო კურსი „გერიატრიული სტომატოლოგია“, რომელიც სტუდენტებს აცნობს ხანდაზმულობის ასაკის სპეციფიკას, პაციენტის შესაძლო შეზღუდვებს და პაციენტის საჭიროებებიდან გამომდინარე მკურნალობის წარმართვის თავისებურებებს.

პროგრამის სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს: ინტერაქტიულ ლექციას, პრაქტიკულ მეცადინეობას, სემინარს, სწავლება პაციენტის საწოლთან/სავარძელთან, ლაბორატორიულ მუშაობას, როლურ თამაშს, კლინიკურ კორელაციებს, ლაბორატორიაში სიმულაციურ და უშუალოდ პაციენტთან სწავლებას კლინიკური და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის, დისკუსიას, კვლევითი სამუშაოს შესრულებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL) და ა.შ.

კლინიკური უნარების გამომუშავება ხდება სიმულაციურ ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია მანეკენებითა და სიმულატორებით, სტომატოლოგიური სავარძლებით და ფანტომებით; უზრუნველყოფილია სტომატოლოგიური მასალები და ინსტრუმენტები თერაპიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული, ქირურგიული მანიპულაციების ჩასატარებლად.

უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება გაიარონ პრაქტიკა პაციენტის სავარძელთან, ჩაატარონ მანიპულაციები უშუალოდ პაციენტზე.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე (OSCE) სტუდენტების კლინიკური და პროფესიული უნარების შეფასებას. სტუდენტების ცოდნა ასევე მოწმდება წერითი შეფასებით, რომელიც მოიცავს როგორც კითხვებს მრავლობითი პასუხებით (MCQs), ასევე ღია კითხვებს.

ბოლო წელი სტუდენტები გადიან კლინიკურ პრაქტიკას სტომატოლოგიის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. სწავლება ხორციელდება უნივერსიტეტის საკუთარ და ასევე თანამშრომელ სტომატოლოგიურ კლინიკებში. სტუდენტებს აქვთ საუკეთესო შესაძლებლობა ახალ კლინიკურ გარემოსთან ადაპტირებისთვის, ისინი იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და ასრულებენ მკურნალობის ეტაპებს უშუალოდ პაციენტთან, ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ. კლინიკური პრაქტიკა სავალდებულო კომპონენტია და მოიცავს: თერაპიულ სტომატოლოგიას, ქირურგიულ სტომატოლოგიას, ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიას, ორთოპედიულ სტომატოლოგიასა და ორთოდონტიას. კლინიკური პრაქტიკის დროს შესასრულებელი მანიპულაციები გაწერილია სილაბუსში. სილაბუსს თან ახლავს პრაქტიკის დღიური, სადაც მითითებულია სასწავლო კურსი, ამ კურსის ხელმძღვანელი, შესასრულებელი სავალდებულო მანიპულაციები და მათი რაოდენობა. ფორმატი ასევე მოიცავს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას და რეკომენდაციებს ზედამხედველის მხრიდან, რაც სტუდენტს ეხმარება ნაკლოვანი მხარეების დანახვასა და მათ გაუმჯობესებაში. სტუდენტები ასრულებენ სტომატოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ ყველა მანიპულაციას და მათი შეფასება ხდება ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე (OSCE).

პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა სასწავლო დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება *სწავლების შემდეგი მეთოდები*:

- **ლექცია** – გულისხმობს ლექტორის მიერ თეორიული მასალის მიწოდებას ინტერაქტიულ რეჟიმში. ყურადღება გამახვილებულია ძირითად ცნებებზე, განმარტებებზე, დაშვებებზე, ვარაუდებზე. ლექცია აწვდის სტუდენტებს მეცნიერულ ფაქტებს. სალექციო თემატიკა წარმოდგენილია ვიზუალური მასალით
- **სემინარი** - ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ სტუდენტთა ჯგუფი აცნობიერებს სალექციო თემატიკას, მსჯელობს საკითხებზე. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს ლექციაზე მოსმენილი თემატიკის ფარგლებში გაიღრმავონ ცოდნა. სემინარზე ხდება მოხსენებების წარმოდგენა და განხილვა, დასკვნების გაკეთება. ლექტორი კოორდინაციას უწევს ამ პროცესებს. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
- **დისკუსია** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი მეთოდია, სტუდენტები მსჯელობენ კონკრეტულ საკითხზე, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას, მსჯელობენ ლოგიკურად და მოჰყავთ

თავისი დასაბუთებები. ხელს უწყობს ვერბალური კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარების გამომუშავებას.

- **ჯგუფური მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ სასწავლო დავალებას აძლევს ლექტორი. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება)** - სტუდენტებს ეძლევათ უცხო, რთული პრობლემა, რომელზეც უნდა იმსჯელონ და გადაჭრან. ეს საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ არსებული ცოდნა სასწავლო კურსის ფარგლებში და განსაზღვრონ ცოდნის დეფიციტი. აღნიშნული ხელს უწყობს პრობლემების კრიტიკულ ანალიზის, ინფორმაციის სინთეზის, გადაწყვეტილების მიღების, გუნდური კოლაბორაციის უნარების გამომუშავებას.
- **როლური თამაში** – გულისხმობს სტუდენტების მიერ პაციენტისა და ექიმის როლის შესრულებას და პრაქტიკული/კლინიკური უნარების გამომუშავებასა და დემონსტრაციას.
- **CBL (კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება)** - სტუდენტი იყენებს ცოდნას რეალური შემთხვევის განხილვისას, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის კოგნიტური უნარების გაუმჯობესებას. კლინიკურ შემთხვევებს სტუდენტები განიხილავენ ჯგუფური მუშაობის პროცესში. მეთოდი ხელს უწყობს კოლაბორაციას, ცოდნის ინტეგრაციას, ამაღლებს სტუდენტების მოტივაციას სწავლისათვის, ხელს უწყობს თვით-რეფლექსიისა და კრიტიკული რეფლექსიის გამომუშავებას, კვლევითი უნარების გამომუშავებას.
- **შემთხვევის ანალიზი (Case Study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდება სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, აკონკრეტებს იმ სამუშაოს, რომლის შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – ლექტორი აკეთებს პრეზენტაციას მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **სწავლება პაციენტის საწოლთან** - წარმოადგენს სტუდენტის კლინიკური კურსების სწავლების ძირითად სტრატეგიას; მიმდინარეობს სამედიცინო და/ან სტომატოლოგიურ დაწესებულებაში ლექტორის მხრიდან ზედამხედველობის პირობებში. მისი მიზანია სტუდენტების პროფესიული უნარების გამომუშავება.
- **პრაქტიკული მეცადინეობა** - პრაქტიკული სწავლების გამოცდილება ზედამხედველობით გარემოში, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტისთვის ცოდნის გაღრმავება/გაცნობიერებას, პროფესიულ მომზადებას. პრაქტიკული სწავლება უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების გამოყენებას სასწავლო კაბინეტებში (ანატომიის, ჰისტოლოგიის, პათოლოგიის და ა.შ.), სიმულაციურ ლაბორატორიაში, კლინიკურ ბაზაზე. სტუდენტი ყოველთვის მუშაობს ლექტორის მხარდაჭერითა და შესაბამისი დახმარებით.

- **ლაბორატორიული მუშაობა** – ლაბორატორიაში ქიმიურ პრეპარატებზე მუშაობა, ნივთიერებების გაზომვების, რეაქციების ჩატარება და ა.შ. მიკროსკოპებზე მუშაობა, მიკროსკოპული ნიმუშების დათვალიერება, ქსოვილოვანი პრეპარატების, პათოლოგიების, დაზიანების ხარისხის ამოცნობა, პათოლოგიური პროცესის გამოსავლის განსაზღვრა.
- **კლინიკური/პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია** – პაციენტის ანამნეზის მოკრება, ფიზიკური გამოკვლევა, მონაცემების რეგისტრაცია, ქირურგიული პაციენტის გამოკვლევა, ურგენტული მდგომარეობების მკურნალობა, გადაუდებელი მდგომარეობების დროს პირველადი დახმარების აღმოჩენა, ნაკერების დადება, კუნთში, ვენაში, კანქვეშა ინექციების გაკეთება, ვენის კათეტერიზაცია, ვენაში სამკურნალო საშუალებების ინფუზია და ა.შ.
- **კლინიკური კორელაციები** - ბიოსამედიცინო და პრეკლინიკური სასწავლო კურსების ფარგლებში ხდება სალექციო თემატიკის რელევანტურ კლინიკურ შემთხვევებზე მსჯელობა. ეხმარება სტუდენტს მასალის უკეთ გაცნობიერებაში, თეორიული მასალის კლინიკურ ასპექტში განხილვაში და ვერტიკალურ ინტეგრაციაში.
- **სიმულაციური სწავლება** - სწავლება სიმულაციურ ლაბორატორიაში მანეკენებზე და სიმულატორებზე კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების გზით. ამავე მიზნით ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იყოს როლური თამაში.
- **კვლევითი სამუშაო** - კვლევითი სასწავლო კურსების ფარგლებში კვლევაზე ორიენტირებული დავალებების შესრულება, მასალის მოძიება, დამუშავება, წერილობით ფორმატში მისი წარმოდგენა.

შეფასების მეთოდები:

- **ზეპირი პრეზენტაცია** – თეორიული მასალის ცოდნის დემონსტრაცია, კონკრეტულ საკითხებზე დისკუსია ნარატივის ან კითხვებზე პასუხის გაცემის სახით, საკითხის გადაჭრა და სწორი გადაწყვეტილების მიღება.
- **წერილი ქვიზი** – გავლილი მასალის ფარგლებში კონკრეტული საკითხებთან დაკავშირებით უნარებისა და ცოდნის ინტეგრაციის შემოწმება. შეიძლება მოიცავდეს ღია კითხვებს და/ან კითხვებს მრავლობითი პასუხებით.
- **ტესტი** - შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე წერილობითი ნამუშევარი; თეორიული ცოდნის შემოწმება.
- **პრაქტიკული/კლინიკური უნარების დემონსტრაცია** – პაციენტის ანამნეზის მოკრება, ფიზიკური გამოკვლევა, მონაცემების რეგისტრაცია, ქირურგიული პაციენტის გამოკვლევა, ურგენტული მდგომარეობების მკურნალობა, გადაუდებელი მდგომარეობების დროს პირველადი დახმარების აღმოჩენა, ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა, ადგილობრივი ანესთეზიის ჩატარება, სისხლდენის მკურნალობა, სისლის შემცვლელების გადასხმა, ნაკერების დადება, კუნთში, ვენაში, კანქვეშა ინექციების გაკეთება, ვენის კათეტერიზაცია, ვენაში სამკურნალო საშუალებების ინფუზია, ნაკერებისა და დრენაჟების ამოღება და ა.შ.
- **კლინიკური შემთხვევის პრეზენტაცია** – პაციენტის შემთხვევის პრეზენტაცია, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ კლინიკური შემთხვევის ეფექტურად გადაჭრისა და კლინიკური მსჯელობის, მონაცემების ინტერპრეტაციისა და ინფორმაციის ინტეგრაციის უნარების გამომუშავებას დიფერენციალური დიაგნოზის ჩასატარებლად და მკურნალობის გეგმის შესადგენად. პრეზენტაცია მოიცავს პაციენტის ანამნეზს, ინფორმაციის ანალიზსა და სინთეზს (პრობლემების ჩამონათვალსა და დიფერენციალურ დიაგნოზს), მენჯემენტს (დიაგნოზი და მკურნალობის გეგმა).

- **კვლევითი ნამუშევარი** - კონკრეტული თემის/საკითხის სიღრმისეული ანალიზი. მოითხოვს დამატებითი ლიტერატურის წაკითხვას, მონაცემების დამუშავებას და წერილობითი ფორმით წარმოდგენას. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს სასწავლო კურსის უფრო ღრმა ცოდნა და გაცნობიერება, შემოქმედებითად მოახდინოს ცოდნის ინტეგრაცია, ნათლად წარმოადგინოს და იმსჯელოს დასკვნებზე წერილობითი და ზეპირი ფორმატით, გააცნობიეროს კვლევითი ნამუშევარის ეთიკური ასპექტები.
- **OSPE** (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) – პრეკლინიკური კურსების ფარგლებში თეორიული, პრაქტიკული და პრობლემების გადაჭრის უნარების შეფასების ობიექტური ინსტრუმენტი. სტუდენტებმა უნდა ამოიციონ და აღწერონ ანატომიური, ჰისტოლოგიური ნიმუშები, რადიოლოგიური გამოსახულებები.
- **OSCE** (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) – შეფასების მეთოდი, რომელიც ემყარება სტუდენტის პრეზენტაციას, რომლითაც ფასდება მისი კლინიკური უნარები/კომპეტენციები. ეს არის სწავლებისადმი პრაქტიკული, რეალურ მაგალითზე მიმართული მიდგომა, რომელიც სტუდენტის კომპეტენციის ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა. მისი შინაარსი და პროცედურები სტანდარტიზებულია. თითოეული საგამოცდო სადგური ორიენტირებულია კონკრეტულ კლინიკურ უნარზე/კომპეტენციაზე. თითოეული სტუდენტი ასრულებს ერთი და იგივე დავალებას დროის ერთი და იგივე მონაკვეთში. თითოეული სადგურის დავალება წარმოადგენს რეალურ კლინიკურ სიტუაციას.
- **რეფერატი** - კონკრეტული თემის/საკითხის სიღრმისეული ანალიზი. საჭიროებს დამატებითი ლიტერატურის წაკითხვას, დამუშავებასა და წერილობითი ფორმით წარმოდგენას. იძლევა კურსის ფარგლებში ცოდნის გაღრმავების, უკეთ გაცნობიერების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების გამომუშავების შესაძლებლობას, იძლევა საგნობრივი/დარგობრივი ცოდნის გაფართოების, კრიტიკულად, შემოქმედებითად და სისტემურ დონეზე ცოდნის ინტეგრაციის საშუალებას. იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა წერილობითი და ზეპირი ფორმით ნათლად წარმოადგინოს თავისი დასკვნები, იმსჯელოს მასზე, წარმოადგინოს თავისი ცოდნა და არგუმენტები, რომლის საფუძველზეც მოხდა თეზისის შემუშავება; გააცნობიეროს კვლევის ეთიკური ასპექტები.
- **ესსე** - კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურისა და წყაროების დამუშავება, სხვადასხვა ავტორების მოსაზრებების გაზიარებას, ქრონოლოგიურად და ლოგიკურად ჩამოყალიბება, საკუთარი მოსაზრების გამოხატვა აღნიშნულთან დაკავშირებით. წარმოადგენს წერილობითი დისკურსის ფორმატში.
- **როლური თამაში** - სტუდენტების მიერ პაციენტისა და ექიმის როლის შესრულების დროს ხდება პრაქტიკული/კლინიკური უნარების დემონსტრაცია და მათი შეფასება.
- **MiniCex** - გამოიყენება ძირითადი კლინიკური უნარების შესაფასებლად. სტუდენტი ასრულებს მინი კლინიკურ სავარჯიშოს. ეძლევა დავალება კონკრეტული კლინიკური შემთხვევის შესაბამისად და ხდება შეფასება სპეციალური შეფასების ფურცლის საშუალებით.
- **სტუდენტის დღიური** - ბოლო სემესტრში სტუდენტი აწარმოებს დღიურებს, სადაც ხდება შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს აღრიცხვა. თითოეულ პრაქტიკის სილაბუსს თან ახლავს დღიური, რომელშიც წარმოდგენილია შესასრულებელი სავალდებულო მანიპულაციები და შესრულების მინიმალური რაოდენობა. სტუდენტი დავალებებს ასრულებს ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ. თავდაპირველად იღებს მისგან რეკომენდაციებს, ხოლო ბოლო ჯერზე ხდება მანიპულაციის შეფასება შესაბამისი ქულებით.

- **დისკუსია** - სტუდენტები აწარმოებენ დისკუსიას სხვადასხვა კლინიკურ საკითხთან დაკავშირებით. დისკუსიის დროს ხდება მათი ჩართულობის, აქტიურობის, წარმოთქმული აზრების სისწორის შეფასება.
- **კლინიკური შემთხვევის ანალიზი** - სტუდენტს ეძლევა კლინიკური შემთხვევა, კლინიკური მსჯელობის, მონაცემების ინტერპრეტაციისა და ინფორმაციის ინტეგრაციის საფუძველზე სტუდენტი არჩევს კლინიკური შემთხვევის შესაბამისი გამოკვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდებს, ადგენს მკურნალობის გეგმას, განსაზღვროს პრევენციულ ღონისძიებებს და პროგნოზს.
- **ლაბორატორიული სამუშაო** - ლაბორატორიაში ქიმიური რეაქციების ჩატარება, მიკროსკოპებზე მუშაობა, მიკროსკოპული ნიმუშების დათვალიერება, ქსოვილოვანი პრეპარატების, პათოლოგიების, დაზიანების ხარისხის ამოცნობა, პათოლოგიური პროცესის გამოსავლის განსაზღვრა

6. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების სისტემის კუთხით ეყრდნობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრულ და მის საფუძველზე დამტკიცებულ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემას, რომელიც დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2017 წლის 18 იანვრის N10/01 ბრძანებით და მოდიფიცირებულია, თჰუ რექტორის 2018 წლის 19 ივნისის N108/01 ბრძანებით.). აღნიშნული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და ამ პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებად იყოფა:

სასწავლო კურსის შეფასება მაქსიმუმ - 100 ქულა.

ა) შუალედური შეფასება ჯამურად შეადგენს 60 ქულას, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - მაქსიმუმ 30 ქულა

შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 30 ქულა

ბ) დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა

კანონმდებლობით დადგენილი შეფასების საერთო მოთხოვნები:

• დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების შეჯამების საფუძველზე.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 31 ქულას.
- დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის 50 % - ანუ 20 ქულას 40 ქულიდან.
- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% მიღების შემთხვევაში.
- დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

□ შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

6.1. სასწავლო და კლინიკური პრაქტიკის განხორციელების პროცესი და შეფასების კრიტერიუმები

სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო და კლინიკური პრაქტიკის გავლა. აღნიშნული, სავალდებულო სასწავლო კურსების სახით,

პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი მიმართულია სტუდენტის პროფესიული და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და პროფესიული ღირებულებები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისთვის: სტუდენტის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებელთათვის. სასწავლო-კლინიკური პრაქტიკა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ (კლინიკურ ბაზებზე); პრაქტიკის ობიექტი (სტუდენტის პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული არის სტომატოლოგიის დარგის შესაბამისი; სასწავლო-კლინიკურ პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი (თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის წარმომადგენელი), რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის სილაბუსის განხორციელებაზე; პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტში სტუდენტზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და უნივერსიტეტს უკავშირდება შესაბამისი კონტრაქტით; სასწავლო პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად, არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიკური კომბინაცია.

კლინიკური პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო წესით უნდა აისახოს: პრაქტიკის მიზნები; მისაღწევი სწავლის შედეგები; დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები; განხორციელების ადგილი და ვადები; პრაქტიკის პროცესში განსახორციელებელი აქტივობა; სტუდენტის უფლებები და პასუხისმგებლობები; დღიურის წარმოების წესი; პრაქტიკის ანგარიში; პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები; პრაქტიკის განსაკუთრებული პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.2 პრაქტიკის შეფასება

პრაქტიკის შეფასება მაქსიმუმ 100 ქულის ტოლია, რაც ნაწილდება ორ ეტაპად: შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების სახით.

პრაქტიკის შუალედური შეფასებისას, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა და ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს :

ა) აქტიურობა (აქტიურობა - პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას, გონებრივი იერიში , დისკუსია, პრეზენტაცია, როლური თამაში, სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, პრაქტიკის დღიურის წარმოება - მაქსიმუმ 30 ქულა

ბ) შუალედური გამოცდა - მაქსიმუმ 30 ქულა

დასკვნითი გამოცდა - მაქსიმუმ 40 ქულა

7. დასაქმების სფერო

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმად (სტომატოლოგად), რომელიც ასრულებს

ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებით და პასუხისმგებლობით (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.5).

8. სწავლის გაგრძელების საშუალება

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს:

ა) გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.17)

და/ან

ბ) გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, დაკავდეს პედაგოგიური და/ან სამეცნიერო საქმიანობით.

9. სასწავლო პროგრამით სწავლების ორგანიზების სქემა:

სტომატოლოგიის პროგრამას ხელმძღვანელობს თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ნინო აბაიშვილი. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს, აღნიშნული პროგრამის სასწავლო კურსების, შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალითა და მოწვეული პედაგოგებით დაკომპლექტებას. სტუდენტთა სასწავლო/კვლევითი პრაქტიკის გავლის მიზნით აფორმებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულებებთან, სტომატოლოგიურ კლინიკებთან და სხვა სასწავლო/კლინიკურ ბაზებთან. კოორდინაციას უწევს თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის სამედიცინო კლინიკისა და ლაბორატორიის მუშაობის პროცესს.

10. პროგრამის სტრუქტურა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით, დიპლომირებული სტომატოლოგიის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **300 ECTS კრედიტი** შემდეგნაირად ნაწილდება:

- 37 (ECTS) კრედიტი - ზოგადი საგნების მოდული
- 8 (ECTS) კრედიტი კვლევითი საგნების მოდული
- 62 (ECTS) კრედიტი- ბაზისური (ბიოსამედიცინო) საგნების მოდული
- 44 (ECTS) კრედიტი- კლინიკური კურსების მოდული
- 34 (ECTS) კრედიტი-თერაპიული სტომატოლოგიის მოდული
- 28 (ECTS) კრედიტი-ქირურგიული სტომატოლოგიის მოდული
- 26 (ECTS) კრედიტი-ორთოპედიული სტომატოლოგიის მოდული
- 47 (ECTS) კრედიტი-ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიის მოდული
- 5 (ECTS) კრედიტი - შესავალი სტომატოლოგიაში, გერიატრიული სტომატოლოგია

9 (ECTS) კრედიტი-სპეციალობის არჩევითი საგნები

11. სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები

სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტი. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული კლინიკასთან, სადაც ხორციელდება კლინიკური და სტომატოლოგიური სასწავლო კურსები.

პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თქუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თქუ ბიბლიოთეკა, რომელიც ასევე აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, პროექტორითა და საპროექციო ეკრანით. ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, სტომატოლოგიური კლინიკა, საპროფესორო. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული), კერძოდ, თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO), უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა:

EBSCOHost – <http://search.epnet.com> (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები).

Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)

BioOne Complete (<http://www.bioone.org/>)

e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>)

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>)

IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche>)

IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>)

New England Journal of Medicine (<http://www.nejm.org/>)

Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)

SAGE Premier (<https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier>)

12. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

13. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირებულია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. იგი თავსებადია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიურ პროგრამებთან. სტომატოლოგის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი, ჯანდაცვის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლებამოსილია მოიწვიოს უცხო ქვეყნის ან/და უცხოენოვანი პერსონალი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წაკითხვის მიზნით. სტომატოლოგის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი, ჯანდაცვის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლებამოსილია ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების წინაპირობით, მოიზიდოს უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები.

დანართების სახით იხილეთ:

- პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;